ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 64
23/05/2017

64-08-4-201705231628

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 31 მაისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1 სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის ანგარიშს, მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მიხედვით პირველ კვარტალში გაცემული დახმარებების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

1.2. 2017 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:ლელა მდინარაძე

1.4. ,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლ ,,ნართი“-სათვის ვარდო თოდრიას სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: ნინო ვაჩეიშვილი

1.5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის საჯრო სკოლისათვის გელა ბელაუსოვის სახელის მინიჭების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.6. .ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.7. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

1.8. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.9. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ'' დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.10. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმის, დამტკიცების შესახებ" დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა